2 მატჩი - 2 დამარცხება

მინსკში...

თბილისის დინამოელებს გუშინ მორიგი მატჩი ჰქონდათ სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში მინსკის თანაკლუბელთა გუნდთან.

მინსკელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და მალე წარმატებასაც მიაღწიეს: ბურთი სტუმრების კარში გაიტანა არზამასცევმა - 1:0.

თბილისელებს ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს მათი გამოყენება. ხოლო მინსკელებმა შედეგიანად დაამთავრეს კიდევ ერთი შეტევა და ვასილიევმა მეორე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში - 2:0.

ტაიმის დასასრულს, მესხის მიერ გათამაშებული საჯარიმო დარტყმა გოლით დაამთავრა მაისურაძემ და თბილისელებმა გაქვითეს ერთი გოლი - 1:2.

შესვენების შემდეგ მინსკის "დინამოს" თავდამსხმელმა კაბერსკიმ კიდევ ერთი ბურთი გაიტანა და გამარჯვება წილად ხვდათ მასპინძლებს - 3:1.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა - 1:0.

"ლელო", 4 აგვისტო, 1966 წ.